პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე ფურცელი

სამშაბათი, 12 აპრილი, 1949 წ. № 71 (8874). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას 1948 წელს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

ეს დოკუმენტი მკაფიოდ ახასიათებს ჩვენი ქვეყნის კულტურის ომისშემდგომ აყვავებას, იმ დიდ წარმატებებს, რაც ბოლშევიკურმა პარტიამ საბჭოთა ხალხის კომუნისტური აღზრდის საქმეში მოიპოვა.

ლენინ-სტალინის პარტია იბრძვის ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის ნამდვილი სიუხვისათვის, დაუღალავ და მრავალმხრივ მუშაობას ეწევა მისი სოციალისტური შეგნებულობის ასამაღლებლად. ხალხის იდეური აღზრდის საშუალებათა არსებულში ლიტერატურასა და ხელოვნებას მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნით.

პარტიულობის პრინციპი საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნების მთავარი პრინციპია. ისინი მოწოდებული არიან მშრომელთა მასები აღზარდონ მგზნებარე საბჭოთა პატრიოტებად სულისკვეთებით, ხალხთა თანასწორფუფლებიანობისა და მეგობრობის სტალინური იდეოლოგიის სულისკვეთებით, სამხნევეს, კომუნიზმის დიდი საქმის გამარჯვებისადმი ურყვევი რწმენის, იმ უნარის სულისკვეთებით, რომ გადალახონ ყოველგვარი ხიფანდელი ამ სახელოვანი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ლენინ-სტალინის დიადი, ყოველისმძლე იდეები—აი საბჭოთა მწერლების, ყველა სახის ხელოვნების მუშაკთა შემოქმედების დაუშრეტელი, ცხოველმყოფელი წყარო!

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის თვალსაჩინო ნაშრომები, რომლებიც აღნიშნულია დღეს გამოქვეყნებულ დადგენილებაში, მოელი რიგი მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი თავისებურებით განირჩევიან.

პირველი, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაა, რომ თანამედროვეობის თემა სულ უფრო გაბატონებული თემა ხდება საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ამ ნაწარმოებთა უმეტესობა, რომელნიც სტალინური პრემიების ღირსი გახდნენ, ასახავს დიდი სამამულო ომისა და ომისშემდგომი პერიოდის მოვლენებს. ეს ნაწარმოებნი ხალხს უჩვენებენ კაცობრიობის მტერზე—ფაშიზზე მისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვების ჯარსა და მნიშვნელობას, უჩვენებენ, თუ როგორ შენდება კომუნიზმის დიდებული შენობა მილიონობით შენს, კოლმეურნის, ინტელიგენციის ყოველდღიური შრომითი ღონისძიებით. სწორედ ეს არის საბჭოთა მწერლების მთავარი მოვალეობა ჩვენი ბრძოლა ხალხის წინაშე — ღრმად ასახონ ამ პროცესების არსი, რომლებიც ჩვენს საბჭოთა სინამდვილეში ხდება, შეუსწავლონ უნარი მკაფიო მხატვრული ფორმით უჩვენონ საბჭოთა ადამიანებს მათი ბრძოლისა და შრომის მნიშვნელობა კომუნიზმის გამარჯვების დიდი საქმისათვის.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ჩვენში იზრდებიან, სულ უფრო აქტიურად იჭენენ თავს ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი, ნორჩი ძალები—ნიჭიერი ახალგაზრდობა. სტალინური პრემიების ლაურეატთა შორის პროზის, პოეზიის, დრამატურგიის ისეთ ცნობილ ოსტატებთან ერთად, როგორიც არიან კ. ფედინი, მ. ისაკიანი, ი. კოლასი, ა. კორნეიჩუკი, ნ. ტიხონოვი, კ. სიმონოვი, მ. მაჯანი, ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა პროზაიკოსებს, პოეტებსა და დრამატურგებს—ვ. აფაევს, ს. ბაბაევსს, ე. მაღიევს, ვ. პოპოვს, გ. გულიას, ი. რიაბოკლიანს, ვ. ლებედევს, ნ. ბრიბაჩევს, მ. ლეონოვს, ა. სოფრონოვს, ა. ხუროვსა და ბევრ სხვას. ასევე უნდა ითქვას ანალოგიური ჩვენს არტისტებზე, კინემატოგრაფიის მოღვაწეებზე, მუსიკოსებზე, მხატვრებზე, მოქანდაკეებზე. ახალგაზრდა ძალების ზრდა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი აღმავლობის ერთ-ერთი მკაფიო დადასტურებაა.

სტალინური პრემიების ლაურეატთა ახალ რაზმში ფართოდ არიან წარმოდგენილნი მოძმე მოკავშირე რესპუბლიკათა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები. ამ ფაქტით ახალი დადასტურება ჰქონა ჩვენი დიდი ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მითითებამ იმის შესახებ, რომ „საბჭოთა პატრიოტიზმში ჩარჩენილად შეხამებული ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა საერთო საარსებო ინტერესები“, რომ „საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ თიშავს, არამედ პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად რაზმავს ჩვენი ქვეყნის ყველა ერსა და ეროვნებას“.

სტალინური პრემიების ლაურეატთა მაგალითით ცხადად ჩანს, თუ როგორ იზრდება და იფურჩქნება სსრ კავშირის ყველა ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება—ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური, თუ შთაგონების რა დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი ყველა ხალხისათვის, რომლებიც დიადი ხალინინური კონსტიტუციის ბრალ ქვეშ ცხოვრობენ.

დიდი რუსი ხალხის ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებთან ერთად სტალინური პრემიების ღირსნი გახდნენ უკრაინელი, ბელორუსი, აზერბაიჯანელი, ქართველი, სომეხი, ყაზახი, უზბეკი, ტაჯიკი, ლატვიელი, ლიტველი, ესტონელი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებნი. სამი ეხება არა მარტო ცალკე მწერლებს, პოეტებს, დრამატურგებს, არტისტებს, მუსიკოსებს, არამედ მხატვრულ კოლექტივებსაც. ყოველი საბჭოთა ადამიანი გულით ვაზიარებს, როცა სტალინური პრემიების ლაურეატთა შორის ისეთი უძველესი და მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული თეატრების კოლექტივებთან ერთად, როგორიცაა სსრ კავშირის აკადემიური დიდი თეატრი, სსრ კავშირის აკადემიური მცირე თეატრი, გორკის სახელობის მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრი,—დაინახავს ახალგაზრდა ნაციონალური თეატრებისა— უზბეკეთის დრამის აკადემიური თეატრის, ყაზახეთის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის, ტაჯიკეთის ოპერისა და ბალეტის თეატრის, საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისა და სხვ. კოლექტივებს.

მომმე მოკავშირე რესპუბლიკათა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატება ძვირფასია ყოველი საბჭოთა პატრიოტისათვის, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მათი სახით იგი ხედავს ბრძოლი და სამართლიანი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის შედეგებს, სსრ კავშირის ყველა ხალხთა კულტურული ზრდისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგებს.

გასულ წელს დიდი წარმატება მოიპოვეს საბჭოთა არქიტექტორებმა. სტალინური პრემიები არქიტექტორის დარგში მიენიჭათ იმ მაღალი შენობების პროექტების შექმნისათვის, რომლებიც, ამხანაგ სტალინის წინადადებით მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების შესაბამისად, აგებულ იქნება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში. მოსკოვი ახალი, საბჭოთა ეპოქის მედროშეა, მთელი პროგრესული კაცობრიობის შუქურაა, და ამიტომ ყოველივე, რაც ჩვენს სახელოვან დედაქალაქს ამშვენებს, მათ შორის არქიტექტურის ნაწარმოებნიც, მახლობელი და ძვირფასია მთელი საბჭოთა ხალხისათვის, დედამიწის ყველა მოწინავე ადამიანისათვის!

1948 წელს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭება მოწმობს სოციალისტური კულტურის მძლავრ აყვავებას, საბჭოთა ხალხის წინაშე ჩვენი მწერლების, პოეტების, დრამატურგების, არტისტების, მუსიკოსების, მოქანდაკეებისა და მხატვრების დამსახურების მაღალ აღიარებს.

საბჭოთა ადამიანებს უხარიათ ეს აყვავება და დიდი მადლიერების გრძნობით მიმართავენ თავიანთ ფიქრს ბოლშევიკების პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი, რომელთა მზრუნველობითა და უურადღებით უზრუნველყოფილი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი შემოქმედებითი წარმატებანი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებით იდეოლოგიურ საკითხებზე, პარტიულ პრესაში იმ თეატრალური და ლიტერატურული კრიტიკოსების ანტიპატრიოტული ჯგუფის გამოაშკარავებით, რომლებიც ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის მოწამლული იარაღით მოქმედებენენ,—აუფეთქლივე ამით თავისი გამოსახატელება ჰპოვა პარტიის მზრუნველობამ სოციალისტური რეალიზმის გზით საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების სწორი, ჯანსაღი განვითარებისათვის. ამ მზრუნველობისათვის, მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის ყველა შემოქმედებითმა მუშაკმა მხლოდ ერთი რამით შეიძლება უპასუხოს პარტიასა და მთავრობას: უფრო გულმოდგინე და ნაყოფიერი შრომით, თავიანთ ნაწარმოებთა იდეური დონისა და მხატვრული ოსტატობის შემდგომი ამაღლებით!

იმ დროს, როცა კაპიტალისტური ქვეყნების ლიტერატურა და ხელოვნება თავისი ხალხებისათვის უცხო და მტერული არიან, გადაგვარებას, დეგენერაციას განიცდიან, უმწეოდ ფარხალენენ ფორმალიზმის ჭაობში, სულ უფრო აშკარად ემსახურებიან მონოპოლისტური კაპიტალის დანაშაულებრივ, კაცთმოძულე გეგმებს, ჩვენი, საბჭოთა, ლიტერატურა და ხელოვნება რწმენით მიდიან წინ, ახალ-ახალ შემოქმედებით ძალებს იძენენ ხალხთან განუყრელ კავშირში, ჩვენი ეპოქის ყველაზე მოწინავე იდეებში—კომუნიზმის იდეებში.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ ულოცავს სტალინური პრემიების ლაურეატებს, მათგან მოელის ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებთ, რომლებიც უფრო დიდებულ ბიჯებიან ჩვენს ხალხებს—კომუნიზმის გმირი მშენებლის სულიერ ძალას და სიმამაცეს.

საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების შემდგომი წარმატებებისათვის! მკაფიო იდეური მოზაფხულობისა და მაღალი მხატვრული ოსტატობისათვის! იმისათვის, რომ ისინი განმსჭვალონ ლენინ-სტალინის იმ დიადი იდეების საბრძოლო სულისკვეთებთ, რომლებიც მსოფლიოს გარდაქმნიან ჯაბიერიობას უჩვენებენ კომუნიზმისაკენ მიმავალ გზას!

„პრავდის“ 10/IV მოწერილია

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაკთა დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სოციალისტური სახელმწიფო კონტროლის 30 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მუშაკთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულთა შორის არიან:

შრომის წითელი დროშის ორდენით: ვ. დ. ჩუბინიძე — საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი, **ხ. მ. ბეჟანოვი** — საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრის მოადგილე;

„საპატიო ნიშნის“ ორდენით: მ. ა. **მთაიშვილი** — საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მთავარი კონტროლიორი; **ვ. მ. კაკაბაძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს იურიდიული განყოფილების გამგე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის პირველი წლისთავის გამო დიდად ბედნიერი ვარ გადმოგცეთ თქვენ და თქვენი მეშვეობით მოძმე საბჭოთა ხალხებსა და მათს მთავრობას მთელი ბულგარელი ხალხის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და პირადად ჩემი უგულითადესი მოლოცვა და გამოვთქვა უმხურვალესი მადლობა უანგარო ძმური დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი განუწყვეტლივ უწევს ჩვენს სამშობლოს.

გასულმა წელმა, უდავოა, დაამტკიცა, რომ ხელშეკრულება, რომელიც ჩვენს ორ ქვეყანას აკავშირებს, ჩვენს ხალხებს შორის ურყევი მეგობრობის გამოხატულება და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარების საწინდარია.

ჩვენ გვაქვს იმის ახალი დადასტურება, რომ სწორი და სამართლიანია საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, რომლის ღონისძიებანი მიმართულია საერთაშორისო მშვიდობის, დემოკრატიისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცებისაკენ, მშვიდობის ფრონტის გაძლიერებისაკენ, რომელსაც სათავეში უდგას დიადი საბჭოთა კავშირი თქვენი ბრძნული ხელმძღვანელობით, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მთავრობის სახელით, აგრეთვე პირადად ჩემი სახელით ვუსურვებ მომძმე საბჭოთა ხალხებს შემდგომ წარმატებებს კომუნიზმის ასაშენებლად წარმოებულ მათს გრანდიოზულ შემოქმედებითს შრომაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში და მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც უფრო მეტად განვითარდება და განმტკიცდება, რაც ხელს შეგვიწყობს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სწრაფად აშენებაში.

გიორგი დიმიტროვი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ გ. დიმიტროვს

სოფია

გთხოვთ თქვენ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, და ბულგარეთის მთავრობას მიიღოთ ჩემი მადლობა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის პირველი წლისთავის გამო მეგობრული მოლოცვისა და სურვილებისათვის.

სულით და გულით ვუსურვებ მომძმე ბულგარელ ხალხს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შემდგომ წარმატებებს.

ი. სტალინი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გენერალისიმუსს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოსკოვი

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის წლისთავის გამო გთხოვთ თქვენ, ბატონო გენერალისიმუსო, და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას, რომელსაც თქვენ უდგეხართ სათავეში, მიიღოთ ფინეთის მთავრობის გულწრფელი და მოკრძალებული სალამი და იმის პირობა, რომ მას მტკიცედ სურს კეთილი ძალღონით განავითაროს ნდობაზე დამყარებული მეგობრული დამოკიდებულება დიადი საბჭოთა კავშირისადმი.

ფაგერჰოლმი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ფინეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ კ. ფაგერჰოლმს

ჰელსინკი

გთხოვთ, ბ-ნო თავმჯდომარე, მიიღოთ ჩემი მადლობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფინეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის წლისთავის გამო თქვენი მოსალმებისათვის.

გისურვებთ წარმატებებს ჩვენს ხალხებს შორის კავშირისა და მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

ი. სტალინი

ბოღშევიკურად ვიბრძოლოთ მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისათვის

ლაგოდეხის მტს-ის მუშაკთა მიმართვა საქართველოს სსრ მტს-მბის ყველა ტრაქტორისტს, სატრაქტორო ბრიგადას, კომბაინერსა და ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

მტს-ების მუშაკთა წინაშე ფრიად პასუხსაგები ამოცანებია დასახული. ახლა, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნათესთა მთელ ფართობზე უხვი მოსავლის მოყვანას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სატრაქტორო პარკის სიმძლავრის მთლიანად გამოყენებას. მოწონებეა საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა საკოლეგიურნეო მიხდვრებზე დანერგვა, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მკვეთრად ამაღლება, მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი განვითარება მტს-ების მუშაკთა მთავარი ამოცანაა. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული ეს ამოცანა. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების განხორციელების საფუძველზე შარშან მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ.

ჩვენმა მტს-მა თავისი მომსახურების ზონის კოლმეურნეობებში მოხნა 20.997 ჰექტარი (პირობით ხვნაზე გადაყვანით), გეგმა შეასრულა 102 პროცენტით და თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე გამოიმუშავა 368 ჰექტარი.

1948 წელს ჩვენი მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 13,2 ცენტნერი თამბაქო, 10,3 ცენტნერი ხორბლეული, 22 ცენტნერი სიმინდი, 10,2 ცენტნერი მზესუმბერა, ხოლო საშუალოდ ყველა მარცვლეული — 11,5 ცენტნერი. წარმატებით არის შესრულებული სახელმწიფოსათვის ნატურანაზღაურების ჩაბარების გეგმა, ამასთანავე დაზოგილია 14.697 მანეთის საწვავ-საცხები მასალა.

უხვი მოსავლის მოყვანისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალი სატრაქტორო ბრიგადა დაწინაურდა და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია. მაგალითად, ფ. რიყამაძის სატრაქტორო ბრიგადამ პირობით ხვნაზე გადაყვანით გამოიმუშავა 2.458 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.826 ჰექტარისა, გეგმა შეასრულა 135 პროცენტით, ამრიგად, თვითეულ 15-ძალიან ტრაქტორზე გამოიმუშავა 491 ჰექტარი, დაზოგა 2.939 კილოგრამი საწვავ-საცხები მასალა. ამხ. ს. ციბოლელის ბრიგადამ დაამუშავა 2.428 ჰექტარი, ნაცვლად 1.826 ჰექტარისა, და დაზოგა 987 კილოგრამი საწვავი. ამხ. გ. ვასილიევის ბრიგადამ მოხნა 2.071 ჰექტარი, ნაცვლად 1.826 ჰექტარისა, და დაზოგა 792 კილოგრამი საწვავი. ტრაქტორისტმა ნ. ენუქიძემ „სტზ-ნატის“ ტრაქტორით თავის ცვლაში გამოიმუშავა 816 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 403 ჰექტარისა, და დაზოგა 1.403 კილოგრამი საწვავი. ტრაქტორისტმა გ. მოსეშვილმა მოხნა 966 ჰექტარი და დაზოგა 378 კილოგრამი საწვავი. ტრაქტორ „სტზ“-ით ქ. ზურაშვილმა გამოიმუშავა 465 ჰექტარი, ნაცვლად 175 ჰექტარისა, და დაზოგა 260 კილოგრამი საწვავი. რ. შაიშმელაშვილმა ტრაქტორ „უნივერსალით“ გამოიმუშავა 296 ჰექტარი.

მტს-ის ამ მოწონაე ადამიანთა გამოცდილების გამოყენებით ჩვენ წელს უფრო გავაუმჯობესებთ მუშაობას და გადაჭრით აეამაღლებთ სატრაქტორო სამუშაოთა ხარისხს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობამ მოსავლიანობის გადიდების საქმეში მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დაუსახა ჩვენს მტს-ებს. აქედან ცხადია, რომ ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის მუშაკებსაც ბევრი რამ გვევალება. ჩვენ არ დავიშურებთ ძალას იმისათვის, რომ წარმატებით განვახორციელოთ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითება იმის შესახებ, რომ მკვეთრად გავაღიდოთ ტრაქტორების დატვირთვა.

მომდინარე წელს სატრაქტორო პარკის სრული სიმძლავრით ვამუშებინოთვის, უხვი მოსავლის მოყვანისათვის ვებმებით სოციალისტურ შეჯიბრებაში და ეკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

1. ყველა სახის სატრაქტორო სამუშაოები, როგორიცაა საგაზაფხულო ხვნა-თესვა, თესვის წინ კულტივაცია, სათოხნი კულტურების კულტივაცია, მოსავლის აღება, ნაწვერალის ოშვა, ნაწვერალის მოხვნა, საშემოდგომო ხვნა, მზრალად ხვნა, მრავალწლიან ნარგავებში ნიადაგის დამუშავება ჩავატაროთ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში, მაღალხარისხოვნად, როგორც ეს გათვალისწინებულია კომლეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებებში, რომელთაც კანონის ძალა აქვთ;

2. საგაზაფხულო, საშემოდგომო და მზრალად ხვნა ჩავატაროთ მთლიანად წინასახნისანი გუთნებით, როგორც ეს რეკომენდებულია დიდი რუსი მეცნიერის ვ. რ. ვილიამსის მიერ, მთელი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ მოვიყვანოთ უხვი მოსავალი ამინდის ყოველგვარ პირობებში;

3. მტკიცე დახმარება გავუწიოთ კოლმეურნეობებს ნათესბალახიანი თესლბრეშვის სწრაფად ათვისების საქმეში, რათა კოლმეურნეობებმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ მრავალწლიანი ბალახების თესვის გეგმა, ურომლისოდაც შეუძლებელია სწორი თესლბრუნვის განხორციელება; ამასთანავე შეექმნათ ბალახების თესლის ფონდი და ამ მიზნით უზრუნველვყოთ ყველა კოლმეურნეობაში სათესლე ნაკვეთების გამოყოფა და ამ ნაკვეთებზე იმდენი თესლის მოყვანა, რაც საჭიროა ნათესბალახიანი თესლბრუნვის სრული ათვისებისათვის;

4. ნიადაგზე ტენის შესანარჩუნებლად მინდვრად გასვლის 2-3 დღის განმავლობაში დავფარცხოთ მზრალად მოხნული ნიადაგები, ჩავატაროთ კულტივაცია. მთელ ფართობზე სიმინდის მწკრივად თესვა დავამთავროთ 20 აპრილამდე;

5. ადრე გაზაფხულზე ნიადაგის პირის ფარცხობისთანავე მთელ ფართობზე საშემოდგომო ხორბლის ჯეჯილები დავფარცხოთ, უზრუნველვყოთ მცენარეთა გამოკვება ადგილობრივი და მინერალური სასუქებით, ყანების გამარგვლა და სარეველა ბალახებისაგან სრული გაწმენდა;

6. ფართოდ დავნერგოთ სიმინდის, მზესუმბრისა და სხვა სათოხნი კულტურების რიგთაშუა მექანიზაციით დამუშავება. ამ მიზნით თვითეული სატრაქტორო ბრიგადა მისთვის მიჩენილი სათოხნი კულტურების ნათესვების სამაგრად რიგთაშუა კულტივაციას მოაწყობს;

7. დაწესებულ ვადაზე თვენახევრით ადრე მოვამზადოთ კომბაინები და სალერწეები, უდანაკარგოდ ავიღოთ მთელი მოსავალი;

8. მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის გასაფართოებლად თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისთანავე 1.050 ჰექტარი ნაწვერალი მაშინვე მოვხნათ, ამ ნაწვერალზე დავთესოთ სიმინდი და მზესუმზირა, მოვაწყოთ რიგთაშუა ორკვერადი კულტივაცია, უზრუნველვყოთ ჰექტარზე საშუალოდ სულ მცირე 20 ცენტნერი მოსავლის მიღება;

9. ყველა კოლმეურნეობაში თესვის დაწყებამდე 10 დღით ადრე დავამთავროთ საშემოდგომო ხვნა, ხოლო საშემოდგომო თესვა ჩავატაროთ საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მაღალი ხარისხითა და ადგილობრივი დარაიონებული ჯიშებით;

10. არა უგვიანეს პირველი დეკემბრისა მთელი ფართობი მზრალად მოვხნათ ნაწვერალის წინასწარი ოშვით— 1950 წლის საგაზაფხულო კულტურების დასათესად;

11. დაგაჭრით გავაუმჯობესოთ მანქანების მოვლა და სატრაქტორო ბრიგადების ტექნიკური მომსახურება მინდვრად. ყველა სატრაქტორო ბრიგადაში აეაშენოთ კულტურული საველე სადგომები. ტრაქტორების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის, ფუნი გადარბენის აღსაკვეთად რადიოდანადგარების საშუალებით მოვაწყოთ საღისპეტჩერო მომსახურება, შეექმნათ სატრაქტორო ბრიგადაში მარტივი ტიპის საველე სახელოსნო, მინდვრის სამუშაოთა მთელი სეზონის განმავლობაში მივაღწიოთ თვითეული ტრაქტორის მუშაობის უნარიანობის შენარჩუნებას, სრულიად აღმოვფხვრათ ტრაქტორების გაადგილა ტექნიკური უწესიერობის გამო;

12. უზრუნველვყოთ ნატურანაზღაურების გეგმის დროულად შესრულება, ყოველმხრივ შეეშენოთ ხელი კოლმეურნეობათა მიერ პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფოსათვის გადმდე და გადაჭარბებით ჩაბარებას;

13. დავამყაროთ მტკიცე წესრიგი საფინანსო მეურნეობაში, სისტემატური კონტროლი დავაწესოთ ფულადი სახსრების, მასალების, ელექტროენერგიის, სათადარიგო ნაწილებისა და საწვავ-საცხები მასალების ხარჯვისადმი და სატრაქტორო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების გზით მივაღწიოთ 68 ათასი მანეთის ეკონომიას;

14. ენერგიულად ვიმუშაოთ მტს-ის კეთილმოსაწყობად, მთლიანად შევასრულოთ მიმდინარე წლის შენებლობის გეგმა, მტს-ის კარნიდამზე დავრგოთ 1.500 დეკორაციული და 200 ძირი ხეხილის ნერგი, წესრიგზე მოვიყვანოთ წოელი კუთხე, სასადილო, საერთო საცხოვრებელი;

15. პირობას ვიძლევით უზრუნველყოთ ჩვენი მომსახურების კოლმეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული კულტურების საერთო ფართობის თვითეულ ჰექტარზე ასი ფუთი პურის მოყვანა, ხოლო 1.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 120 ფუთი პურისა;

სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველვყოთ 400 ფუთის, ხოლო 850 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 450 ფუთი სიმინდის მიღება;

თამბაქოს მთლიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველვყოთ 16 ცენტნერი თამბაქოს მოყვანა;

16. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მინდვრის სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებას. წარჩინებული მოსკოველი ფეიერის ალექსანდრე ჩუტკინის მაგალითისამებრ უკრაინელმა მექანიზატორებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს და ფართოდ გაიჩიენს სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედების მაღალი კულტურის სატრაქტორო ბრიგადის სახელწოდების მოსაპოვებლად. ჩვენ უკრაინელ მექანიზატორთა პატრიოტულ თაოსნობას ყოველმხრივ ვუჭერთ მხარს და მივაღწევთ იმას, რომ **საკლმეურნეო მიწის თვითეული ჰექტარი დამუშავდეს მოწონაე აგრონომიული მეცნიერების წესების მტკიცედ დაცვით.**

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენზე, მტს-ების მუშაკებზე, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება. ჩვენი საამქრო საკოლმეურნეო მინდორია, ხოლო ჩვენი პროდუქცია მოსავალია. ამიტომ სამუშაოთა უაღრესად მოკლე ვადებში და აგროტექნიკური წესების დაცვით შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს ენერგიული ბრძოლა უხვი და მყარი მოსავლის მოსაყვანად, საამისოდ ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. მტს-ებში აღიზრდნენ საუკეთესო მექანიზატორთა კადრები, სახელმწიფომ მტს-ები აღჭურვა ტრაქტორებით, კომბაინებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით. მთავარია არ გავაკიდნოთ მინდვრად მომუშავე არც ერთი მანქანა.

ამხანაგო მექანიზატორებო! ჩაებით სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეთ კონკრეტული ვალდებულებანი და საქმით იბრძოლეთ უხვი სტალინური მოსავლისათვის.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მიჰყავს გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ!

დიდება დიდ სტალინს!

მიმართვა განხილული და მოღებულია ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის საბჭოს და მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე.

საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის დირექტორი ამხ. **ქ. ბერეზოვსკი**, დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში ამხ. **ლ. ოდამანაძე**, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. **ა. ბერეზინი**, **ბ. ბოგანინიძე**, უფროსი აგრონომი ამხ. **შ. ალაბაძე**, უფროსი მექანიკოსი ამხ. **ა. ბერეზინი**, **ა. ალექსიძე**, **ბ. ბაბალიძე**, ბრიგადირები ამხ. **ფ. რიყამაძე**, **ა. ბაბალიძე**, **ბ. ბაბალიძე**, **ბ. ბაბალიძე**, **ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერებისა და გამოგონებლობის დარგში 1948 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სჯალინური პრემიების მინიჭების შესახებ*

10. **ბელოუს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, სინთეზურ და ნატურალურ სურნელოვან ნივთიერებათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის პროფესორს, **დილმანს** ტატიანა კონოს ასულს, იმავე ინსტიტუტის დირექტორს, **ელისეევას** ვალენტინა ნიკოლოზის ასულს, **ოსიპოვას** ვალენტინა პეტრეს ასულს, **სმოლიანინოვას** ელენე კონსტანტინეს ასულს, იმავე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, **ნამოიტკინს** სერგი სიმონის-ძეს, აკადემიკოსს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნავთის ინსტიტუტის დირექტორს, **როდიონოვს** ვლადიმერ მიხეილის-ძეს, აკადემიკოსს, დ. ი. მენდელეევის სახელობის მოსკოვის ქიმიერ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს, **შუმეიო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში 1948 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

(დასასრული)

100. **ხრიშჩანოვის** ალექსანდრე სტეფანეს-ძეს, ტრეტ „აპშერონნეფტის“ ბურღვის ოსტატს, **ორლოვს** ალექსი ილიას-ძეს, ტრეტ „ბეზოვნენეფტის“ ბურღვის ოსტატს, **ბალაბანოვს** პავლე პროკოფის-ძეს, ტრეტ „ტემირ-ბანეფტის“ ბურღვის ჩქარი მეთოდების შემუშავებისა და განხორციელებისათვის.

101. **ხრუშჩოვს** ალექსანდრე ანდრიას-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ბოლოტნიკოვს** იგორ მიხეილის-ძეს, **მატვეიჩევს** ალექსანდრე სერგეს-ძეს, **ფურდუევს** ვადიმ ვლადიმერის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი კინოფოტოინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებს, **ფურმაცევს** ვასილ ვასილის-ძეს, ქარხანა „ლენწყინპლის“ ლაბორატორიის უფროსს,—ბეგრის ალდგენის ახალი სისტემის შექმნისათვის, რომელიც უზრუნველყოფს კინოფილმების ჩვენების დროს მაღალი ხარისხის ეფექტიანობა.

102. **ხრისანოვს** ვალენტინა ვიქტორის ასულს, ტექნიკოსს, მოსკოვის ელექტროლამპის ქარხნის რადიოლამპების საამქროს კომკავშირულ - ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირს,—მუშაობის ახალი მეთოდების გამოყენებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის უფრო დიდ ნაყოფიერებას, თვითდირებულების შემცირებასა და მუშახელის გათავისუფლებას.

103. **ციკუნოვს** ნიკოლოს კონსტანტინეს-ძეს, ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს, **შეერბაკოვს** ვიქტორ თევდორის-ძეს, **ტარასოვს** ვასილ ნიკოლოზის-ძეს, **ბელსკის** როსტისლავ რაფაელის-ძეს, ინჟინრებს, **პოლიეევს** თეოდოსი ალექსანდრეს-ძეს, ინჟინერ-პოლკოვნიკს, **მარტინენკოს** მიხეილ პეტრეს-ძეს, მე-2 რანგის ინჟინერ-კაპიტანს,—ახალი ნიმუშის საკუთრული შემუშავებისათვის.

104. **ცეხანოვიჩს** მიხეილ ვასილის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ადრიანოვას** ლიუდმილა ნიკოლოზის ასულს, **მილერს** ვიქტორ ალექსანდრეს-ძეს, **სიროკას** ბარბალე დანიელის ასულს, **ნილეფდრეს** რომან ალექსის-ძეს, **ცვეტკოვს** გრიგორ მიხეილის-ძეს, ინჟინრებს,—ელექტროსხვეფის ხელსაწყოთა კონსტრუქციის შემუშავებისა და წარმოების ათვისებისათვის.

105. **ჩაშკინს** მოსე ივანეს-ძეს, აგრო-სატყეო ფიზიკოსიანის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს,—ტყის სარგები მანქანის კონსტრუქციის შემუშავებისათვის.

106. **ჩუბაკინს** ვლადიმერ სტეფანეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, მთავარ კონსტრუქტორს, **მალეონოვს** ვლადიმერ ნიკანდრეს-ძეს, **რიდიონოვს** პეტრე ვასილის-ძეს, ქარხნის ინჟინერებს, **ალიპოვს** ალექსი იაკობის-ძეს, ინჟინერს, **სალაზკოს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს, ინჟინერს-პოდპოლკოვნიკს,—ახალი ნიმუშის საომარი მასალის შექმნისათვის.

107. **ჩუტკიხს** ალექსანდრე სტეფანეს-ძეს, კრასნი ხოლმის კამეოლური კომბინატის ოსტატს თანამშრომელს, — საფიქერო მრეწველობაში მუშაობის რაციონალური მაღალნაყოფიერი მეთოდების დანერგვისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვებას და რომლებიც ფართოდ გავრცელდა სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

108. **შაპიროსკის** იაკობ ბორისის-ძეს, **გიტის** ემანუელ ისაკის-ძეს, **კოშპარს** ალექსანდრე ილიას-ძეს, **კუნიავსკის** გიდალი მოსეს-ძეს, ინჟინრებს, — ახალი რადიოაპარატების შექმნისათვის.

109. **შაპოვალს** ივანე ემელიანეს-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, ქარხნის დირექტორს, **შარანოვს** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს, **ტურიანსკის** სეიატოპოლკ ალექსანდრეს-ძეს, **ყარაშოვს** ვადიმ გრიგორის-ძეს, ქარხნის ინჟინერებს,—ახალი ტიპის ოტტიკური მინის წარმოების მეთოდის შემუშავებისათვის.

110. **შურინს** ნაუმ პრონის-ძეს, მუშაობის ხელმძღვანელს, **ჩეკენეკოს** ანატოლ ივანეს-ძეს, **ბალიოკოს** ვლადიმერ მიხეილის-ძეს, **ალიშიცს** იაკობ ისააკის-ძეს, „გიპროგუდრაშინის“ ინჟინრებს, **ალიოშინს** გრიგორ ივანეს-ძეს, **რაფალოვინს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს, კოშეოსკის ს. მ. ქირიოვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინრებს, **ბრატჩენკოს** ბორის თევდორის-ძეს, ტრეტ „შახტანტრაკტორის“ მთავარ ინჟინერს, **ლეონენკოს** ივანე აბრამის-ძეს, კომბინატ „ვოსტოსუგ�prom“ მთავარ ინჟინერს, **ხოსანბიევს** ათანასე მარკის-ძეს, გორლოვკის ს. მ. ქირიოვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მთავარ ინჟინერს, **ბერსონსკის** ლევ ბენიამინის-ძეს, „ელავსტროფიქანიზაციის“ ფფროსის მოადგილეს,—მძლავრი საყელური მანქანების შემუშავებისა და ქვანახშირის მრეწველობაში დანერგვისათვის.

111. **ენგალინს** აბრამ ლევის-ძეს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, **ირხიპოვას** ალადინა ხარალამბის ასულს, **ტრიხნოვს** მიხეილ დიმიტრის-ძეს, **მილერედს** სერგი სამონის-ძეს, ინჟინრებს, — ლაპასა და მინანქრის დასაშზადებელი ფისის შემუშავებისა და წარმოების ათვისებისათვის.

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში 1948 წლის თვალსაჩინო ნაშრომებისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა თვალსაჩინო ნაშრომებისათვის:

ა. მხატვრული პროზის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის ოდენობით

1. **ფეიდეს** ვასილ ნიკოლოზის-ძეს—რომანისათვის „მოსკოვიდან შორს“.
2. **ფეიზოვს** მეხტარ ობარხანის-ძეს—რომანისათვის „ობაი“.
3. **ფედინს** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძეს—რომანებისათვის „პირველი სხბარელი“ და „არაჩვეულებრივი ზაფხული“.
4. **ბაბაევსკის** სემონ პეტრეს-ძეს—რომანისათვის „ოქროს ვარსკვლავის კავალერი“.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის ოდენობით

1. **სემუშკინს** ტიხონ ზაჭარიას-ძეს—რომანისათვის „ალტაეტი მთაში მიდის“.
2. **ლაციის** ვილს ტენისის-ძეს—რომანისათვის „ქარიშხალი“.
3. **პოლევოის** (კამპოვს) ბორის ნიკოლოზის-ძეს—მოთხრობათა წიგნისათვის „ჩვენ საბჭოთა ადამიანები ვართ“.
4. **პერვენცევს** არკადი ალექსის-ძეს—რომანისათვის „ღირსება ახალგაზრდობიდანვე“.
5. **პოპოვს** ვლადიმერ თევდორის-ძეს—რომანისათვის „ფოლადი და წყდა“.
6. **მალცევს** (ბუკოვს) ელიზარ იურის-ძეს — რომანისათვის „სულით და გულით“.
7. **გოზნერს** ალექსანდერ ტერენტის-ძეს—რომანისათვის „ზღაპი პრაგა“.

მესამე ხარისხის პრემიები 25.000 მანეთის ოდენობით

1. **გულიას** გიორგი დიმიტრის-ძეს, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს—მოთხრობისათვის „გაზაფხული საკენში“.
2. **ლაფტერს** იური გრიგორის-ძეს—მოთხრობისათვის „გვანთადდა“.
3. **სანინოვს** ბესარიონ მიხეილის-ძეს—რომანისათვის „ცა და მიწა“.
4. **ხაკსეს** (აბზალოს) ანა ოტოს ასულს—რომანისათვის „აღმავლობა“.
5. **რიბაოკლიანის** ივანე ათანასეს-ძეს—მოთხრობისათვის „ზოლოტოტისიანინეი“.
6. **სადიკეიოვს** ტუგეკბაილ—რომანისათვის „ჩვენი დროის ადამიანები“.
7. **ლებერეტს** განს ფრიდრიხის-ძეს—მოთხრობისათვის „სინათლე კოორდში“.
8. **დობროვოლსკის** ვლადიმერ ანატოლის-ძეს —მოთხრობისათვის „სამნი რუს ფარაჯებში“.
9. **ინოფსკის** იური ივანეს-ძეს—ცოცხისათვის „ქიეკეი მოთხრობები“.
10. **ხაფინოვს** ვადიმ ანდრიას-ძეს—ზღაბისათვის „ოყვიტეკეი მიწა“.
11. **ბანფეროვს** თევდორე ივანეს-ძეს—რომანისათვის „დამარცხებულთა ქეეყანაში“.

ბ. პოეზიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის ოდნენობით

1. **ინაკოვსკის** მიხეილ ვასილის-ძეს—ლექსების კრებულისათვის „ლექსები და სიმღერები“;
2. **სიმონოვს** კონსტანტინე მიხეილის-ძეს—ლექსების წიგნისათვის „მეგობრები და მტრები“.
3. **ტიხონოვს** ნიკოლოზ სიმონის-ძეს—ლექსების ციკლისათვის „ქართული გაზაფხული“.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის ოდენობით

1. **შიპაჩოვს** სტეფანე პეტრის-ძეს—რჩეული ლექსების კრებულისათვის „ლექსები“.
2. **გრიბაჩოვს** ნიკოლოზ მათეს-ძეს—პოემისათვის „გაზაფხული“ „გამარჯვებაში“.
3. **ლუკონინს** მიხეილ კუზმის-ძეს—პოემასათვის „სამშაო დღე“.
4. **ბაჟანს** მიკოლას (ნიკოლოზ პლატონის-ძეს) —ლექსების ციკლისათვის „ინგლისური შთაბეჭდილებანი“.
5. **კულეშოვს** არკადი ალექსანდრეს-ძეს—პოემისათვის „ახალი კალიპტი“.
6. **კოლასს** იაკუბს (მიტკევიჩს) კონსტანტინე მიხეილის-ძეს), ბელორუსიის სსრ სახალხო პოეტს—პოემისათვის „მეთვეზის ჯოხი“.
7. **მამედ** რაჰმის (ბუსეინოვს მამედ რაჰმ ბაბა ოღლის), აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს—პოემისათვის „ლენინგრადის თავზე“.
8. **მარშაკს** სამუელ იაკოვლის-ძეს—ლექსების თარგმანისათვის „შექსპირის სონეტები“.

გ. დრამატურგიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის ოდენობით

1. **სოფრონოვს** ანატოლი ვლადიმერის-ძეს—პიესისათვის „ზოსკოფერი ხასიათი“.
2. **ვირტას** ნიკოლოზ ეგვენის-ძეს—პიესისათვის „ვანშორეულთა შეთქმულება“ („ერთი ქვეყანაში“).

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის ოდენობით

1. **კორნეიჩუკს** ალექსანდრე ეფდოკიმის-ძეს—პიესისათვის „მაკარ დუბრავა“.
2. **სუროვს** ანატოლი ალექსის-ძეს—პიესისათვის „ეწვნეე ქეჩა“.
3. **შანშიაშვილს** სანდრო (ალექსანდრე ილიას-ძეს), საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს —პიესებისათვის „არსენა“, „კაჩანის გმირები“ და „ინერეთის ღამეები“.
4. **ლიუბიმოვს** ვალენტინა ალექსანდრეს ასულს—პიესისათვის „თოვლის ფიფქი“.

დ. მხატვრული კინემატოგრაფიის დარგში

პირველი ხარისხის პრემიები 100.000 მანეთის ოდენობით

1. კინოსურათისათვის „იბადაგზრდა გვარდია“ (I და II სერია): **გერასიმოვს** სერგი ა' ალექსანდრეს-ძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს, რეჟისორს და სცენარის ავტორს; **რაპოპორტს** ეფიმ აბრამის-ძეს, ოპერატორს; **გურზოს** სერგი საფრონის-ძეს, მსახიობს; **ივანოვს** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძეს, მსახიობს; **მაკაროვას** ინა ვლადიმერის ასულს, მსახიობს; **მორდიუოკოვს** ნოიბრონნ ვიქტორის ასულს, მსახიობს; **ხიხრიოკოვს** ვიქტორ ივანეს-ძეს, მსახიობს; **შაგალოვს** ლუდმილა ალექსანდრეს ასულს, მსახიობს.
2. კინოსურათისათვის „ლირსების სამსაჯვარო“: **როომს** აბრამ მათეს-ძეს, რეჟისორს; **შტეინს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს, სცენარის ავტორს; **გალპერინს** ალექსანდრე ვლადიმერის-ძეს, ოპერატორს; **ჩიჩოკოვს** პორის პეტრეს-ძეს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს, **ფიზნევას** ოლგა ანდრიას ასულს, მსახიობს; **ხვიმოდინს** ნიკოლოზ კაპიტონის-ძეს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს; **ანენკოვს** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, რსფსრ დამსახურებულ არტისტს.

მეორე ხარისხის პრემიები 50.000 მანეთის ოდენობით

1. ფერადი კინოსურათისათვის „მიჩურინი“: **ლოვეფენკოს** ალექსანდრე პეტრეს-ძეს, უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, რეჟისორს და სცენარის ავტორს; **ხოლნესე

„ტყის დღე“ თბილისში

საქართველოს სს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა ტყის გაშენების სამუშაოები. 10 აპრილს თბილისში ჩატარდა „ტყის დღე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლენინის, სტალინის, მოლოტოვის, ბერიას, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებმა. ათასობით თბილისელი ერთსულოვნად გამოვიდა მწვანე ნარგავების გასაშენებლად ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებათა კარმიდამოზე და დედაქალაქის ქუჩებსა და სკვერებში.

„ტყის დღესთან“ დაკავშირებით თბილისში დაირგო 34.000 ძირზე მეტი ალვის ხე, 20 ათასამდე აკაცია, 2.000 ძირზე მეტი კაკალი და სხვ.

ქვემოთ ვბეჭდავთ მასალებს თბილისში ჩატარებული „ტყის დღის“ შედეგებზე.

ლენინის რაიონი

მზიანი, თბილი ამინდი იყო 10 აპრილს. ამ დღეს ლენინის რაიონის ქუჩებსა და სკვერებში, ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების ეზოებში დილით ადრე გამოვიდნენ მშრომელები, რომლებმაც გულმოდგინედ იმუშავეს ხეებისა და ბუჩქების დარგვაზე, მორწყეს დარგული მცენარეები.

დიდი მუშაობა გასწიეს თვიანმთა ეზოს ტერიტორიის გასამშვენიერებლად სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი, 26 კომისრის სახელობის, ავტოსარემონტო, ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხნების კოლექტივებმა. 26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა დარგეს 280 ხე და 370 ბუჩქი, ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა—800 ძირი ხე, ლოკომოტივების შემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა—2.500 ძირი, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა—1.000 ძირზე მეტი ხე და 300 ძირი ბუჩქი. მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის ეზოში დაირგო 550 ძირი ხე.

„ტყის დღის“ ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს რაიონის სკოლების მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა. მათ დარგეს 2.000 ძირზე მეტი ხე. ლენინის რაიონის მშრომელებს გათვალისწინებული ჰქონდათ „ტყის დღესთან“ დაკავშირებით დაერგოთ 7.668 ძირი ხე და ბუჩქი, ფაქტიურად დარგულია 19.200 ძირი.

სტალინის რაიონი

— თვითეულ მოსახლეზე დავრგოთ 1-2 ძირი ხე! ამ ლოზუნგით ემზადებოდნენ „ტყის დღისათვის“ სტალინის რაიონის ფაბრიკა-ქარხნების, დაწესებულებებისა და სკოლების კოლექტივები. ისინი კვირას ერთსულოვნად გამოვიდნენ ხეებისა და ბუჩქების დასარგავად. მარტო საწარმო-დაწესებულებებმა 3.300 ძირი ხის ნაცვლად დარგეს 4.082 ხე და 432 ბუჩქი.

ასობით მშრომელმა მიიღო მონაწილეობა ბტკვრის მარცხენა ნაპირზე ხეების დარგვაში. აქ გააშენეს 7.962 ხე. კარგად იმუშავეს განათლების განყოფილების მუშაკებმა, რომლებმაც 500-ის ნაცვლად დარგეს 800 ხე. რაიონის კომკავშირელებმა დარგეს 750 ძირი ხე, ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს კოლექტივმა ეზოსა და ქუჩებზე—700 ძირი, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა — 700, სატრანსპორტო საინჟინრო ინსტიტუტის კოლექტივმა—450, ხოლო ინდუსტრიული ტექნიკუმის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა 300 ძირი.

სულ დარგულია 12.000 ძირზე მეტი ხე, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 7.012 ძირისა. ბევრგან ჩატარდა დარგული მცენარეების მორწყვა.

მოლოტოვის რაიონი

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა თავიანთი საწარმოს ტერიტორიაზე დარგეს 400 ძირი მცენარე.

„ტყის დღეს“ რაიონის სკოლების მოსწავლეებმა დარგეს 700-ზე მეტი ხე. ოცდამესამე, ოცდამეთოთხე, მეთვრამეტე სკოლებისა და რკინიგზის ტექნიკუმის მოსწავლეებმა 2-3 ძირი მცენარე დარგეს თვითეულმა. ნაყოფიერად იმუშავეს აგრეთვე რაისაბჭოს აღმასკომის თანამშრომლებმა. მათ ერთ დღეს დარგეს 1.300 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე.

სულ რაიონში 10 აპრილს დარგეს 9.227 ძირი სხვადასხვა სახის ხე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.200 ძირისა, და ათასზე მეტი ბუჩქი.

ბერიას რაიონი

სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის მიდამოებში „ტყის დღესთან“ დაკავშირებით მოწყობილ კვირაობაზე 12 ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ დარგეს 10.565 ძირი ხე. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.200 ძირისა.

მწვანე ნარგავების გაშენების საქმეში კარგად იმუშავა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის კოლექტივმა, რომელმაც გეგმის გადამეტებით დარგო 60 ძირი ხე. კომბინატის სამთო ინჟინერმა ვ. ჯანდიერიმ და ო. ხარაძემ დარგეს რვა-რვა ძირი ერთწლიანი აკაციის ხე.

ორგანიზებულად მოაწყეს „ტყის დღეს“ აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის, რადიოკომიტეტის და განათლების სამინისტროსა და ცეკავშირის მუშა-მოსამსახურეებმა.

ორჯონიკიძის რაიონი

ორგანიზებულად ჩატარდა „ტყის დღე“, რომელშიც 10 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. დაირგო 7.605 ძირი სხვადასხვა ჯიშის მცენარე და ათასი ბუჩქი.

ენერგიულად იმუშავეს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტებმა და მუშა-მოსამსახურეებმა. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის გამგემ დოცენტმა ამხ. ა. გაჩეჩილაძემ, სტუდენტებმა ა. ჩაკაძემ, გ. გაბადაძემ, ა. მახარაშვილმა, ასისტენტმა ამხ. ზ. ხანთაძემ და სატყეო ფაკულტეტის დეკანმა ამხ. ი. ჩხეიანიშვილმა დარგეს შვიდ-შვიდი ძირი ხე.

ქალაქის გამწვანების საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამაც. ამ დღეს 4 ათასამდე კაცი გამოვიდა მწვანე ნარგავების გასაშენებლად.

დიდი კვირაობა მოეწყო ვაკის პარკში. მომზადებული იქნა ორმოება 1.000 ძირი ხის დასარგავად.

კიროვის რაიონი

კიროველები მომზადებული შეხვდნენ „ტყის დღეს“. ადრე დილიდანვე მშრომელები გამოვიდნენ მწვანე ნარგავების გასაშენებლად სოღანლუღის გზატკეცილზე, კრწანისის ფერფლიბებზე, რაიონის ქუჩებზე, ფაბრიკების, ქარხნების, სკოლების, საცხოვრებელი სახლებისა და დაწესებულებათა ეზოებში. ამ დღეს მარტო სოღანლუღის ზონაში გზატკეცილის მარცხენა მხარეზე აგრონომის ხელმძღვანელობით დარგულ იქნა 6.500 ძირი ვერხვი და აკაცია. დარგვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მესამე და მეთოთხმეტე სახელოსნო სასწავლებლის, 29-ე ვაჟთა და 35-ე ქალთა სკოლების, ტყავის № 1 ქარხნის, ბამბის ფაბრიკის, არტელ „შეკავშირების“ და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მოწონავე ადამიანებმა. ამ დღეს მარტო 29-ე სკოლის მოსწავლეებმა რ. კობალაძემ, ს. ლაშხმა, რ. ჩორგოლაშვილმა, თ. დოლიაშვილმა, ა. სააკოვმა და სხვებმა დირექტორის ამხ. გ. მდინარაძის ხელმძღვანელობით 850 ძირი ხე დარგეს, გარდა ამისა, სპეციალური ნერგებით ყვავილნარი მოაწყეს. ასევე კარგად იმუშავეს 35-ე სკოლის მეათეკლასელებმა ვენერა ვეშიძემ, მაყვალა გალდავამ და სხვებმა. კარგად მოაწყეს ნარგავთა მორწყვა: აეტომანქანაზე გამართული იყო ციტერნა, ბევრს მოტანილი ჰქონდა ვედრონი და მტკვრიდან ეზიდებოდა წყალს.

ასევე კარგად მოაწყეს ხეების რგვა გაბაშვილისა და ხუციშვილის ქუჩებზე, სადაც წინასწარ გასწორდა ფერხები. აქ ერთ დღეში 500 ძირი ხე დარგეს.

სულ 10 აპრილს დაირგო 13 ათასამდე ძირი ხე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.400 ძირისა.

26 კომისრის რაიონი

საზოგადოება „ტყის მეგობარმა“ თავისი წევრების აქტიური მონაწილეობით 10 აპრილს წინანდლის ქუჩის ბოლოზე გააშენა 0,2 ჰექტარი სანერგე, დარგო 6.000 ძირი მცენარე, მათ შორის 2 ათასი ძირი სოფორა, 2,5 ათასი ძირი ალვის ხე, დანარჩენი კი თუთა და კოპიტი.

დიმიტროვის სახელობის ქარხნის ეზოში მუშა-მოსამსახურეებმა 3.240 ძირი ხე დარგეს, მათ შორის ბევრი ხეხილი, ბერიას სახელობის ფეხსაცმლისა და ქაღალდის ფაბრიკების მუშაკებმა—400-400. ხეები ბევრი გააშენეს აგრეთვე სამოქალაქო აეროფრომის, ვაჟთა 25-ე, ქალთა 29-ე და სხვა სკოლების, საინსტრუქციო ქარხნის, ცენტრალური რადიოსადგურისა და სხვა საწარმოო დაწესებულებათა ეზოებსა და ქუჩებში. ასევე კარგად იმუშავეს ხორცკომბინატისა და წისქვილკომბინატის, აგრეთვე რკინიგზის ნავთლუღის კვანძის მუშა-მოსამსახურეებმა.

სულ „ტყის დღეს“ რაიონში დარგულ იქნა 21.000-მდე ძირი ხე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ათასისა, აქედან მარტო საცხოვრებელი სახლების ეზოებში მოსახლეობის მიერ დარგულია 2.000 ძირი ხე.

გაეროთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 9 აპრილი. (საკდესი). 7 აპრილს სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდებოდა განხილვა „სასესიათაშორისო კომიტეტის“ რეზოლუციის პროექტისა „საგამომძიებლო და შემოთხზვებელი კომისიების წევრობის კანდიდატთა სიების შემოღების შესახებ“.

ინდოეთ-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელი, როგორც კომიტეტის წინა სხდომაზე, ცდილობდნენ დიმბეკიეთინიო კანონიერება ამ რეზოლუციისა, რომელიც თვალსაწინოს „საგამომძიებლო და შემოთხზვებელი კომისიების“ შექმნას. ეს კომისიები იმუშავებდნენ იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც უშიშროების საბჭოს კომპეტენციას შეადგენენ.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა გოტლიბმა კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რეზოლუციის აღნიშნული პროექტი არსებითად თვალსაწინოს უკანონო ორგანოს შექმნას, რაც გაეროთანეული ერების ორგანიზაციის წესდებას დარღვევა იქნება.

როგორც უკრაინის სსრ წარმომადგენელმა კოვალენკომ აღნიშნა, კომიტეტის მიერ ამ საკითხის განხილვა იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ინდოეთ-ამერიკის ბლოკს არა სურს გადაჭრას დავა გაეროთანეული ერების ორგანიზაციის წესდების საფუძველზე და ეძებს წესდებისა და მისი შესრულებისათვის გვერდის ასახვევ სხვადასხვა გზას. კოვალენკომ განაცხადა, რომ უკრაინის სსრ დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ი. ა. მალიკმა მოიგონა სხდომას, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაციამ წინააღმდეგი იყო „სასესიათაშორისო კომიტეტის“ შექმნისა, რომელიც მიაჩნდა უკანონო ორგანოდ, ვინაიდან მისი შექმნა მიმართული იყო გაეროთანეულები ერების ორგანიზაციისა და პირველ რიგში უშიშროების საბჭოსათვის ძირის გამოსახრელად. მაშინ, თქვა მალიკმა, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელები ამბობდნენ, რომ თითქოს „სასესიათაშორისო კომიტეტი“ იქნება როგორც დამხმარე ორგანო გენერალური ასამბლეის მუშაობის გასაადვილებლად. ახლა უკვე აღარაფერ მალაც „სასესიათაშორისო კომიტეტის“ შექმნის ნამდვილ მიზნებს. ახლა ყველა ხედავს, რომ „სასესიათაშორისო კომიტეტი“ წარმოდგენს ინდოეთ-ამერიკის ბლოკის პირდაპირ იარაღს გაეროთანეული ერების ორგანიზაციისათვის ძირის გამოსახრელად. „სასესიათაშორისო კომიტეტის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებანი გაეროთანეული ერების ორგანიზაციის წესდების უხეშ დარღვევას წარმოადგენენ.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამბობდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის მიერ გაეროთანეულ ერების ორგანიზაციის წესდების მუხლების დამოწმება, რომლითაც უკანასკნელი ცდილობდა გაემართლებინა „სასესიათაშორისო კომიტეტის“ უკანონო წინადადებანი.

პასუხად პერუსა და კუბის წარმომადგენლთა მტკიცებისა, რომლიც ცსხადებდნენ, თითქოს დიდ სახელმწიფოთა ერთობლივობის წესი „ხელ-უფეს უბოკავს“ უშიშროების საბჭოს მის საქმიანობაში, მალიკმა მოიყანა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც ცსხადყოფენ, რომ მთავარ მიზეზს, რაც ხელს უშლის უშიშროების საბჭოს ეფექტიანად განახორციელოს თავისი ფუნქციები, წარმოადგენს ხაზი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდ ბრიტანეთის მმართველი წრეები ამკიდან ატარებენ და რომელიც მიზნად ისახავს გაეროთანეულ ერების ორგანიზაციის შეგუებას მათი აგრესიული პოლიტიკის მიზნებთან.

უშიშროების საბჭოს მუშაობას, თქვა ბალიკმა, ხელს უშლის არა ერთხმიანობის პრინციპი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა მოქმედება უშიშროების საბჭოში. ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელებს ესაბრალოთ არა ნამდვილი საერთაშორისო თანამშრომლობა, არამედ ლაპარაკი თანამშრომლობაზე, რათა ამით მიჩქმალონ ინგლის-ამერიკის მსოფლიო ბატონობის ძალით დამყარების გეგმები. ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეები დაუბრუნდნენ საგარეო პოლიტიკის იმ ძველ ანტისაბჭოთა კურსს, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ მეორე მსოფლიო ომის წინა წლებში და რომელმაც ევროპასა და ეს ამით ამ გარემოება, რომ მათ პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციების გაფართოებისა, არამედ მას დაგმობს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ყველა მომხრე, რომელიც ყველა ქვეყანაში დიდ უმრავლესობას შეადგენენ.

საბჭოთა დელეგაციას, თქვა შემდეგ მალიკმა, შემოდოთ საქმისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაეროთანეული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობისათვის საზიანოდ მიიჩნია ისეთი მდგომარეობა, რომელის დროსაც გენერალური ასამბლეის ყოველ სესიაზე მუდამ ფხიზლად ნაკეთი საკითხებს, რომელთა მიზანია გაეროთანეული ერების ორგანიზაციის წესდებისათვის ბევრდის ახეკვა, ყველაზე მნიშვნელოვანი მისი დებულებებისათვის ძირის გამოთხრა, უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრების ერთმანეთის პრინციპისათვის სახელის გატეხა, ორგანიზაციაში უშიშროების საბჭოს ადგილისა და როლის დაკნინება და გაეროთანეული ერების ორგანიზაციის წევრთა შორის გათიშვის, მტრობისა და გაუგებლობის ატმოსფეროს შექმნა. სწორედ ამ მოსაზრებებით სსრ კავშირის დელეგაციი ილაშვრებდა „სასესიათაშორისო კომიტეტის“ შექმნისა და კიდევ ერთი წლით მისი საქმიანობის ვადის განგრძობისა წინააღმდეგ. ამავე მოსაზრებებით საბჭოთა კავშირის დელეგაციი ილაშვრებს „სასესიათაშორისო კომიტეტის“ მიერ განსახილველად წარმოდგენილი წინადადების მიღების წინააღმდეგ.

განცხადების დასასრულს მალიკმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი, ისე როგორც წინათ, ერთგულია დიდი და მცირე სახელმწიფოების საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებისა და ხალხთა დემოკრატიული თანამშრომლობის პრინციპებისა, რაც დიდ და მცირე ქვეყნებს აერთიანებს საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების სასარგებლოდ.

საფრანგეთის წარმომადგენელმა, რომელიც ცდილობდა ხელი შეეშალა გაეროთანეულ ერების ორგანიზაციის ძირის გამოსახრელად მიმართულ, ინგლის-ამერიკის ბლოკის კურსის შემდგომი მზიერებისათვის, წინადადება შეიტანა—კენჭი ეყარათ რეზოლუციისათვის.

საფრანგეთის დელეგატის წინადადებას მხარი დაუჭირეს ეკვადორის, პერუსა და კუბის დელეგატებმა.

„სასესიათაშორისო კომიტეტის“ რეზოლუციის სასარგებლოდ მიეცემოდ იქნა 41 ხმა, წინააღმდეგ—6 ხმა (სსრ კავშირი, პოლონეთი, ბელორუსიის სსრ, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია). კენჭისყრაში თავი შეიკავეს საუდის არაბეთმა, ახალმა ზელანდიამ და სამხრეთ აფრიკის კავშირმა.

გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის გენერალურ კომიტეტში 11 ხმით ერთის წინააღმდეგ (ბელგია), ორმა (ინგლისი და საფრანგეთი) თავი შეიკავა, რეკომენდებულ იქნა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შტანლი იქნას ინდონეზიის საკითხი.

9 ხმის უმეტესობით სამის (ინგლისი, ირანი და ლიბანი) წინააღმდეგ, ორმა (ბელგია და ავსტრალია) თავი შეიკავა, კომიტეტმა გადაწყვიტა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეიტანოს ისრაელის თხოვნა გაეროთანეული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ.

კომიტეტმა უარყო საბჭოთა კავშირის დელეგატის წინადადება—დღის წესრიგიდან გამოერიცხათ ცვლილის თხოვნა გაეროთანეული ერების ორგანიზაციაში მიღების შესახებ.

გენერალ უე ძო-ის დამოკიდებულება მაო ძე-დუნის ამოცანებისადმი

ბეიჯინი, 4 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო გადმოგვცემს, ჩრდილოეთ ჩინეთში გომინდანის შეიარაღებული ძალების ყოფილმა მთავარსარდალმა გენერალმა უე ძო-ომ 1 აპრილს თავისი პოლიტიკური შეხედულება გამოხატა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის, დემოკრატიული პარტიებისა და ჯგუფების, სახალხო ორგანიზაციების, „მთელ ჩინეთში, გომინდანში მეგობარ დემოკრატიებისა და პატრიოტებს“ სახელზე გაგზავნილ დეპეშაში.

დეპეშაში ნათქვამია: „სამოქალაქო ომის ორი წლის განმავლობაში ჩემი უდიდესი შეცდომა იყო აღკაფვის ჩახშობის რეაქციული პოლიტიკის განხორციელება. თუმცა, ვახორციელებდით რა ეგრეთ წოდებულ აღკაფვას ჩაკრობას. ჩვენ ყოველდღე ვლაპარაკობდით ხალხისადმი სამსახურზე, ნამდვილად კი ყველგან ვანადგურებდით და ეჩაგრავდით ხალხს. სოფლად ჩვენ ვიყავით მსხვილ მემამულეთა დარაჯები, ჯალაქებში ვიცავდით პრივილეგიერებულებს, მდიდრებს, მოსყიდულ და უპატიოსნო მოხელეებს.

ყველა შეცდომის დამღუპველი შედეგი პოლიტიკურად გამოხატა კორუპციით, ეკონომიურად—ნგრევით, კულტურასა და განათლებაში დარაზი იგი გამოხატა ირმიანში სტუდენტების გაწყვეტით და დანარჩენი სტუდენტების დათრგუნვით. სოციალურად ამ შეცდომების შედეგი იმით გამოხატა, რომ დღითიდღე უფრო ღარიბდებიან მშრომელთა მასები და მატულობს ეწსლოატატორთა კლასის ფუფუნება და გარყვნილება. დიპლომატიური თვალსაზრისით ამ შეცდომების შედეგი გამოხატა შეერთებული შტატებისადმი დამორჩილებამ, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით იგი იმით გამოხატა, რომ, გვეკიკვა რა უპირატესი მდგომარეობა, ჩვენ უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ყოველივე ეს ხალხის ინტერესებს დარღვევის შედეგია.

რატომ მოიპოვა წარმატება ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ?

იმიტომ რომ კომუნისტური პარტია ემყარება მუშათა და გლეხთა ინტერესებს, მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხის ინტერესებს“.

შემდეგ უე ძო-ის აღნიშნა, რომ ეროვნულ დემოკრატიულ რეფორიუციის ახალ ეტაპზე „ენდო ხელმძღვანელობენენ მუშათა და გლეხთა კლასი და მათი წარმომადგენელი კომუნისტური პარტია, რათა უზრუნველყოფილ იქნას რევოლუციური პოლიტიკის სრული განხორციელება, რევოლუციის ამოცანების სრული განხორციელება“.

„ბეიჯინში მიღწეული მშვიდობა,—განაცხადა უე ძო-ომ,—შეესაბამება ხალხის ნებასა და სურვილს. იგი დადებულ იქნა სწორა პოლიტიკასა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის 8 საზავო პირობის შესაბამისად. ასეთი მშვიდობა ნამდვილი მშვიდობაა“.

შემდეგ უე ძო-ი წერს: „გომინდანის არმიისა და მთავრობის ორგანოების მთელმა პირადმა შემადგენლობამ, რომელსაც პატრიოტიზმის გრძნობა გაჩნია, მამაცურად უნდა აღიაროს შეცდომები და ყოველი ღონე იხმაროს, რათა მალე დამკვიდრდეს მშვიდობა მთელ ჩვენს ქვეყანაში ბეიჯინის ნიმუშის მიხედვით“.

დასასრულ უე ძო-ი განაცხადა: „ამიერიდან მე მსურს მხარი დაუჭირო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობას ახალი დემოკრატიის განხორციელებისა და ახალი ჩინეთის მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში“.

მაო ძე-დუნის პასუხი უე ძო-ის დეკეშაზე

ბეიჯინი, 4 აპრილი (საკდესი). სინხუას საგენტო გადმოგვცემს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის შემდეგ პასუხს უე ძო-ის 1 აპრილის დეპეშაზე:

„მე წაგიკითხე თქვენი 1 აპრილის დეპეშა. მთლიანად შემდარია პოლიტიკა ნანკინის გომინდანური რეაქციული მთავრობისა, რომელაც კონტრრევოლუციური სამოქალაქო ომი დაიწყო. ამ მთავრობამ უნდა აღიაროს პასუხისმგებლობა იმ უდიდესი უბედურებისათვის, რასაც ჩინელი ხალხი რამდენიმე წლის მანძილზე განიცდიდა ამ კონტრრევოლუციური სამოქალაქო ომის შედეგად.

მაგრამ, რაც შეეხება გომინდანური რეაქციული მთავრობის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირებს, რომლებიც ამ პოლიტიკას ახორციელებენ, ჩვენ მივესალმებით მათ, ვინც უნდა იყვნენ ისინი, იმ პირობით, თუ ნამდვილად გაიკეთებენ ზღვარს სამართლისა და სიცრუეს შუა, გულწრფელად მოინანიებენ და ნამდვილად დამტკიცებენ ამას თავიანთ საქმეებით, ხელს შეეწყობენ ხალხის განთავისუფლების საქმის წარმატებას და ყოველ ღონეს იხმარენ სამინაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრისათვის.

თქვენ ხელი შეეწყეთ მშვიდობიან მოწესრიგებას ბეიჯინში. უფრო მეტიც. თქვენ გამოიჩინეთ სურვილი — დადგეთ ხალხის მხარეზე და მიიღოთ მონაწილეობა ახალი დემოკრატიის მშენებლობის საქმეში. ჩვენ ეს გზა სწორად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ მას ყველა უნდა მიეხალოს“.

ბრიუსელის პაქტის მონაწილე ქვეყნების სამხედრო მინისტრების თათბირის გამო

ჰაგა, 9 აპრილი. (საკდესი). ბრიუსელის პაქტის მონაწილე ქვეყნების სამხედრო მინისტრების თათბირის შემდეგ გუშინ ჰაგაში გამოქვეყნებულ კომუნიკეში, ნათქვამია, რომ მინისტრებმა მოიწონეს დასავლეთ ევროპის „დაცვის“ გეგმა. ისინი შეთანხმდნენ ადრეული ამ გეგმის შესრულების ღონისძიებებისა და ბრიუსელის პაქტში მონაწილე თვითეული მხარის მიერ ვალდებულებათა შესრულების შესახებ.

ჰოლანდიის მთავრობის სამხედრო ღონისძიებანი

ჰაგა, 9 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ნიუ ჰაგშე კურანტი“ მოიწოდებს სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ამ საპმხედრო ვალდებულებებისადმი, რაც ჰოლანდიის მთავრობამ ჩრდილოატლანტიკის ხელშეკრულების ხელმოწერისთან დაკავშირებით იკისრა, წერს, რომ მონტგომერიმ მოითხოვა, რათა ჰოლანდიის ტერიტორიაზე კვლავ შეიქმნას 6 დივიზია 125.000 კაცის რაოდენობით. ამისათვის საჭიროა მოზდეს კიდევ სამი ნაწილი. ამიტომ, აღნიშნავს გაზეთი, საჭესებით გასაგებია, რომ ამჟამად დასახულია 1941-1942-1943-1944 წლების ანტიგენტების გამოყენება (ეს კონტინგენტები ნაწილი ომამდე ჰოლანდიის ჰიტლერელ ოკუპაციის პერიოდში. — რედაქციის შენიშვნა).

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ ი. წ. 20 აპრილიდან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საბჭოეშიფი ავტომობილებისა აწყობს ავტომოტოტრანსპორტიო, რეზინისსაბურავლანი ტრაქტორებისა და მისაბმელების ნახეკარწლიერ ტექნიკურ შემოწმებას.

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები და ავტომანქანების მფლობელნი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ ავტომოტოტრანსპორტის მომზადებას ტექნიკური შემოწმებისათვის.

შესაბამშმებლად წარდგენილი ავტომოტოტრანსპორტი უნდა იყოს ტექნიკურად წესრიგში მოყვანილი და შეღებული. სატვირთო ავტომანქანებზე ძარას სამიდე გვერდზე უნდა იყოს წარწერილი მიკუთვნებული სახელმწიფო სანომრო ნიშანი სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სანტ., სიგრძე 12 სანტ., ნიშნის სისქე 3 სანტ.).

ავტომანქანებს, როგორც სატვირთოს, ისე მსუბუქს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს უკანა ფარანი ნომრის განსათებლად და „სდექ“ — სიგნალი.

ავტომოტოტრანსპორტის შესაბმეებლად წარდგენისას აუცილებლად თან უნდა იქონონონ:

1. ტექნიკური პასპორტი, შევსებული გავლილი კილომეტრაჟის, ჩატარებული რემონტების რაოდენობისა და აგრეგატების შეცვლის ჩვენებით.

2. სახელმწიფო ნაკის საქართველოს განყოფილების ქეთთარი თვითეულ მანქანაზე და რეზინისსაბურველან ტრაქტორებზე 5 მანეთის და მოტოციკლეტსა და მისაბმელზე 3 მანეთის გადახდის შესახებ (ფული შტანლილ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშში — კარი 12, § 7).

3. ცნობები ავტომოტოტრანსპორტის საეწყობო კუთვნილების შესახებ.

საქართველოს რაიონებში ავტომოტოტრანსპორტის შემოწმებას ჩატარებენ სახელმწიფო ავტოინსპექტორები შინაგან საქმეთა სამინისტოოს სათანადო რაიგანყოფილებებში 1949 წლის 20 აპრილიდან 10 ივნისამდე.

ქალაქ თბილისში ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკური შემოწმება რაიონების მიხედვით ჩატარდება შემდეგ ვადებში:

ა) ლენინის და კიროვის რაიონებში 20-IV-დან 15-V-მდე.

ბ) მოლოტოვის რაიონში 20-IV-დან 20-V-მდე.

გ) 26 კომისრის და ბერიას რაიონებში 20-IV-დან 1-VI-მდე.

დ) სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონებში 20-IV-დან 5-VI-მდე.

ტექნიკური შემოწმება უნდა გაიარონ მთელმა ავტომოტოტრანსპორტმა, რომელიც აყვანილია აღრიცხვაზე სახელმწიფო ავტოინსპექციაში ტექნიკური შემოწმების დაწყებამდე ე. ი. 1949 წლის 20 აპრილამდე.

ტრანსპორტის ყველა მფლობელი ვალდებულია პირადად უზრუნველყოს მისი კუთვნილი ავტომოტოტრანსპორტის წარდგენა ტექნიკურ შემოწმებაზე, ისე, რომ არ დაჩნეს არც ერთი მანქანა ტექნიკურად შეუმოწმებელი.

ქ. თბილისში ერთიელ ავტომეურნეობათა და ინდივიდუალურ მფლობელთა მანქანების ტექნიკური შემოწმება იწარჩოებს პოქუბაში სამოქალაქო ქ. № 1, ყოველდღე 10 საათიდან 15 საათსა და 30 წუთამდე, გარდა კვირა დღეებისა.

ერთიელი ავტომეურნეობანი და ინდივიდუალური მფლობელნი, რომლებსაც არ შეუძლიათ აღნიშნულ ეადებში ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკურ შემოწმებაზე წარდგენა, რომლებსაც და კომისიებისა ვამო, ანდა რეზონსაა და აკუმულატორის უქონლობის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან წარადგინონ აქონობ სახელმწიფო ავტოინსპექციის ამ ორგანოებს, სადაც ავტოტრანსპორტი აღრიცხვაზეა.

ის პირნი, რომლებიც დაარღვევენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნილებას, დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მილიციის დარგში მილიციის მე-3 რანგის კომისარი ნაპაქმბია

სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი მილიციის პოპპოლოვნეაი მანსვეტოვი

თეატრებში

ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	12-IV 13-IV	„ კარმენი“ „ დაინი“	18 ან. 7 ან. 11 ნახვ.
რუსთაველის სახელობის	12-IV 13-IV	„ ოფელო“ „ ჩაძირული ქვეყანა“	1 ან. 8 ნახვ. 15 ან. 8 ნახვ.
მარჯანიშვილის სახელობის	12-IV 13-IV	„ რკინის პერანგი“ „ ნინოშვილის გურამი“	3 ან. 8 ნახვ. 18 ან. 8 ნახვ.
მუსიკალური კომედიის	12-IV 13-IV	„ აშუღ მურადი“ „ მარიცა“	ამოს. ბარეშე 3 ან. 9 ნახვ.
მოზარდ მაყურებლთა ქალაქთაშორის	12-IV 13-IV	„ მერანგულა“ „ რომეო და ჯულიეტა“	25 ან. 6 საათ. 31 ან. 5 საათ.

მე-6 შესატანის გადახდა ყველა ამონენტი-სათვის საავალდებულოა

აკაკი, ლილი, ლიდა ომნაძეები იუწყებიან **ალექსანდრე თათიეოზის-ძე ჯინჭარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 12-IV, 6 ს. ფიროსმანის ქ. № 14.

შვილი გალინა, დები ანიჩქა, იფლია, ქსენია ოჯახებით, დისწულები გელა, ოთარ, ნორა იუწყებიან **მატონა ილიეზის ასულ ჯორდანიძე-რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-IV, 5 ს. წულუკიძეში ლენინის II შესახვევი, 3.

ბ. ცინცაძე ოჯახით იუწყება **შერმადინ ამბაკუმ-ძე ცინცაძის